



ევროპული სასამართლო დაადგენს, შეზღუდა თუ არა საქართველომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ბაჟის მეშვეობით ფინანსური სარგებელის მისაღებად

გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 25 აპრილი

2016 წლის 25 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში [“ქერდიყოშვილი საქართველოს წინააღმდეგ”](#) მთავრობასთან კომუნიკაცია დაიწყო. საქმე შეეხება ქართული სასამართლოების უარს, შეემცირებინათ ან გაეუქმებინათ სახელმწიფო ბაჟი, რომელიც მომჩივანს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნისათვის დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, მომჩივანს უკან უნდა დაბრუნებოდა უკანონოდ ჩამორთმეული კუთვნილი საქონელი. მომჩივნის, ბალო ქერდიყოშვილის ინტერესებს ევროპული სასამართლოს წინაშე იცავენ [მიდლსექსის უნივერსიტეტის “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი”](#) (EHRAC) და [“საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”](#) (თბილისი).

2007 წლის 24 მარტს ბალო ქერდიყოშვილმა შემდგომი რეალიზების მიზნით შეიძინა დიდი ოდენობით ალკოჰოლი. ფინანსური პოლიციის დეპარტამენტმა მას ტვირთი ჩამოართვა და შესანახად ქალაქ გორში მდებარე საწყობში გადააგზავნა. აღნიშნული ქალაქი მდებარეობს სამხრეთ ოსეთის საზღვართან. გორის საოლქო სასამართლომ მოგვიანებით საქონლის ჩამორთმევა უკანონოდ ცნო. კერძოდ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ბატონ ქერდიყოშვილს ჩამორთმეული საქონელი უკან უნდა დაბრუნებოდა. აღნიშნულის მიუხედავად, გორის საგადასახადო ინსპექციამ უარი განაცხადა საქონლის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ საწყობი რომელშიც განმცხადებლის ტვირთი ინახებოდა, დარბეულ იქნა 2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის დროს. 2009 წლის აპრილში მომჩივანმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი კომპენსაციის მოთხოვნის თაობაზე. მან აგრეთვე მოითხოვა მომხდარის შედეგად განცდილი ფინანსური ზარალის გათვალისწინებით, 3000 ლარის (დაახლ. 1,4000 ევრო) ოდენობით დაკისრებული სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება. ალტერნატივის სახით, მომჩივანი ასევე მოითხოვდა ბაჟის შემცირებას ან გადავადებას. სასამართლომ უარი განაცხადა მომჩივნის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო საქმის განხილვა მოხდა მას შემდეგ, რაც მომჩივანმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა.

2011 წლის 8 ივლისს სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წელს მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს საწყობის დარბევასა და ტვირთის დაკარგვაში ხელისუფლებას ბრალი არ მიუძღოდა. ქერდიყოშვილმა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და მისი რთული ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, კვლავ



მოითხოვა სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება ან ბაჟის შემცირება (ბაჟის ოდენობა შეადგენდა 5000 ლარს, რაც დაახლოებით 2,325 ევროა). სააპელაციო სასამართლომ მისი მოთხოვნა ფინანსურ შეღავათთან დაკავშირებით უარყო და სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადა. ქერდიყოშილმა გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ სასამართლომ მისი საჩივარი უარყო ისე, რომ მომჩივნის ძირითადი არგუმენტები არც განუხილავს.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში ქერდიყოშილი აცხადებს, რომ სახელმწიფოს ზედმეტად მაღალი ბაჟისაგან განთავისუფლებაზე უარმა მას ფინანსური ტვირთი დააკისრა და დაარღვია მისი სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება, რომელსაც იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტი. მან აგრეთვე განაცხადა, რომ სასამართლოების უარი სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლებაზე არ ყოფილა გონივრულად დასაბუთებული. მომჩივნის მტკიცებით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ზედმეტად მაღალი სასამართლო გადასახადების შეგროვებით სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის შეტანა. მომჩივნისვე მტკიცებით, ის ფაქტი, რომ მას არ აქვს კუთვნილი საქონლის უკანონოდ წართმევის შედეგად განცდილი დანაკარგის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა, არღვევს მის უფლებას, მშვიდად ისარგებლოს საკუთრებით. აღნიშნული უფლება დაცულია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1 მუხლით.

საქმეში ნათლად არის წარმოდგენილი საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზები, რომლებიც მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას აბრკოლებს. კერძოდ, ზედმეტად მაღალი სახელმწიფო ბაჟის გამო მომჩივანს შეეზღუდა მაღალი ინსტანციის სასამართლოებზე ხელმისაწვდომობა. მთავრობამ ევროპული სასამართლოს კითხვებთან დაკავშირებით პასუხები 2016 წლის 17 ოქტომბრამდე უნდა წარმოადგინოს, რის შემდეგაც მომჩივანს მიეცემა სახელმწიფოს არგუმენტებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

ტეგები:

- 2016
- საქართველო
- სამართალწარმოება
- საკუთრების დაცვა
- სამართლიანი სასამართლოს უფლება